მოგესალმებით,

მივესალმები საკრებულოს ახალარჩეულ წევრებს, მედიის წარმომადგენლებს, დამსწრე საზოგადოებას. პატივცემულო საკრებულოს წევრებო, გილოცავთ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად არჩევას.

2025 წლის 4 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნები ჩაატარდა საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით. არჩევნები გამჭვირვალე, მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში, კანონით განსაზღვრული ყველა ეტაპის დაცვით.

საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოხატვა და ყველა მონაწილე სუბიექტისთვის თანაბარი პირობების შექმნა. საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო ელექტრონული აპარატები ფართო მასშტაბით გამოიყენა, რაც კიდევ უფრო ზრდის პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ნდობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა საჯაროდ, ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების, პოლიტიკური პარტიებისა და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით. საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობა და დაკვირვება თავის მხრივ ხელს უწყობდა პროცესის გამჭვირვალობასა და საზოგადოების ინფორმირებას.

მადლობა თითოეულ ამომრჩეველს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, და ყველა ჩართულ მხარეს - მათ შორის საარჩევნო კომისიების წევრებს, პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით შესრულებული საქმიანობისთვის.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საოლქო საარჩევნო კომისიამ საბოლოო შედეგები 15 ოქტომბერს შეაჯამა. ახალი მოწვევის საკრებულო დაკომპლექტდა სულ 38 წევრით (37-ი - ,,ქართული ოცნებიდან“, 1-ი ,,ძლიერი საქართველო ლელო’’-დან).

პროპორციული საარჩევნო სისტემებით არჩეულია:

რიგითი ნომერი პარტიულ სიაში	**სახელი და გვარი**	**წარმდგენი**
1	დავით შარაშიძე	41. ქართული ოცნება
2	მარიტა მგალობლიშვილი	41. ქართული ოცნება
3	ბიძინა ცინცაძე	41. ქართული ოცნება
4	ზაალ მამალაძე	41. ქართული ოცნება
5	გიორგი მათითაშვილი	41. ქართული ოცნება
6	დავით მინდაძე	41. ქართული ოცნება

7	მაია გიორგაძე	41. ქართული ოცნება
8	სოფიკო ჯინჭარაძე	41. ქართული ოცნება
9	კობა კალანდაძე	41. ქართული ოცნება
10	კლოდი მდინარაძე	41. ქართული ოცნება
11	დავით გუდავაძე	41. ქართული ოცნება
12	მარინე ბერაძე	41. ქართული ოცნება
13	ლევან მეგრელიშვილი	41. ქართული ოცნება
14	ვასილ ბუბუტეიშვილი	41. ქართული ოცნება
1	მამუკა ცინცაძე	9. ძლიერი საქართველო-ლელო

ხოლო მაჟორიტარული სისტემით:

ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის ნომერი	**სახელი და გვარი**	**წარმდგენი**
62.01 დაბა	ჯუმბერი ბერძენიშვილი	41. ქართული ოცნება
62.02 ბუკისციხე	ქეთევან სიხარულიძე	41. ქართული ოცნება
62.03 ამაღლება	ზვიად წეროძე	41. ქართული ოცნება
62.04 გოგოლესუბანი	აკაკი ყაჭეიშვილი	41. ქართული ოცნება
62.05 გორაბერეჟოული	დავით ტყეშელიაძე	41. ქართული ოცნება
62.06 გუთური	ლაშა თოლორდავა	41. ქართული ოცნება
62.07 დაბლაციხე	გოჩა ჯიქია	41. ქართული ოცნება
62.08 დიდივანი	გიორგი რამიშვილი	41. ქართული ოცნება
62.09 ერკეთი	სერგო კობიძე	41. ქართული ოცნება
62.10 ზემოსურები	მაია კუტუბიძე	41. ქართული ოცნება
62.11 ზემოხეთი	ერეკლე უღრელიძე	41. ქართული ოცნება
62.12 ზომლეთი	თემურ ხუხუნაიშვილი	41. ქართული ოცნება
62.13 ზოტი	ლაშა ირემაძე	41. ქართული ოცნება
62.14 კოხნარი	ნოდარი ცხომელიძე	41. ქართული ოცნება
62.15 ნაბეღლავი	ზაზა ბერიძე	41. ქართული ოცნება
62.16 საჭამიასერი	ლაშა სხვიტარიძე	41. ქართული ოცნება
62.17 ფარცხმა	ოთარი ცინცაძე	41. ქართული ოცნება

62.18 ქვენობანი	მინდია დოლიძე	41. ქართული ოცნება
62.19 შუაამღლება	ვლადიმერ სიხარულიძე	41. ქართული ოცნება
62.20 შუასურები	გოგიტა ტრაპაიძე	41. ქართული ოცნება
62.21 ჯვარცხმა	გივი ჩხიკვაძე	41. ქართული ოცნება
62.22 ხევი	ზვიადი მამალაძე	41. ქართული ოცნება
62.23 ხიდისთავი	კახაბერ სიხარულიძე	41. ქართული ოცნება

თითოეული მანდატი ძალაში შევიდა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებიდან 2 კვირის თავზე, 29 ოქტომბერს.

დღეს, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში, მუნიციპალიტეტის და ქვეყნის განვითარებისთვის.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 25 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე სხდომა უძღვება საკრებულოს უხუცესი წევრი, ვთხოვ ვასილ ბუბუტეიშვილს გაუძღვეს სხდომას.

საკრებულოს აპარატის უფროსს, სამანდატო კომისიის გადასაცემად გადავცემ სააღრიცხვო ბარათებსა და შემაჯამებელ ოქმებს.